დახმარება სიკვდილის შემდგომ

მოამზადა: ზურა ზოსიძემ

მუსლიმთა ტრიბუნა

მწყალობელი და მოწყალე ალლაჰის სახელით

ქება-დიდება ალლაჰს სამყაროს ღმერთს. ხოლო ლოცვა და მშვიდობა მის (ალლაჰის) შუამავალს, მის (შუამავლის) ოჯახს მის მოდგმას და მასზე მიმყოლ საჰაბეებს და ყველას (მუსლიმანს).
ამის შემდეგ:

ადამიანთათვის ორი სახის დახმარება არსებობს მისი გარდაცვალების შენდგომ ერთი ამ ქვეყნიდან ადამიანების მიერ გაწეული როცა იგი იქნება საფლავში, ხოლო მეორე იმ ქვეყნად შეფაღეთი მაჰშერის მოედანზე.

ამქვეყნიური დახმარებებია:
1) მისი გაკეთევული სამი საქმე (სადაყაი ჯაარიე, გაცემული ცოდნა, და დატოვებული შვილი)
2) მისი შვილის მიერ გაკეთებული სამი საქმე მისსადმი (მის ნაცვლად სადაყის გაცემა, მის ნაცვლად მარხვა, მის ნაცვლად ჰაჯობაზე წასვლა)
3) მისსადმი ყურანის კითხვა.

იმქვეყნიური დახმარებაა (შეფაღეთი):
1) შეფაღეთი შუამავლებისგან
2) შეფაღეთი შეჰიდებისგან
3) შეფაღეთი ევლიებისგან
4) შეფაღეთი სწავლულთაგან
5) შეფაღეთი ყურანისგან

არგუმენტები ჰადისები და სწავლულთა შეხედულებები ამ დახმარებების შესახებ:

ამქვეყნიური დახმარება

მის მიერ გაკეთებული სამი საქმის შესახებ:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) ბრძანებს;
إِذاَ ماَتَ اْلإِنْساَنُ انْقَطَعَ عَنْهُ عَمَلُهُ إِلاَّ مِنْ ثَلاَثَةٍ: إِلاَّ مِنْ صَدَقَةٍ جاَرِيَةٍ، أَوْ عِلْمٍ يُنْتَفَعُ بِهِ، أَوْ وَلَدٍ صاَلِحٍ يَدْعوُ لَهُ.
[رواه مسلم]
“როდესაც ადამიანი გარდაიცვლება მისი ნამოქმდართა წიგნაკი დაიხურება, გარდა სამი კატეგორია ადამიანების: ვინც “სადაყაი ჯაარიე” დატოვა, ვინც საკუთარი ცოდნა გადასცა სხვას, და იმისი ვინც დატოვა გულწრფელი და მისსადმი მავედრებელი შვილი”
(საჰიჰი მუსლიმი ნომ:1631)

მის ნაცვლად სადაყის გაცემა, მარხვა და ჰაჯობის გაკეთება:

ერთერთი ცნობილი გადმოცემის თანახმად ერთი კაცი მივიდა შუამავალთან (ალლაჰის ლოცბა და მშვიდობა იყოს მასზე) და ჰკითხა რო მას ჰყავდა გარდაცვლილი დედა და მის ნაცვლად სადაყა (მოწყალება) რო გაეცა შეიძლებოდა. შუამავალმა დადებითი პასუხი გასცა. შენდგომ მას ისევ ჰკითხა თუ შეიძლებოდა თუ არა რომ მის ნაცვლად შეიძლებოდა რომ ემარხა, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) ანალოგიურად დადებითი პასუხი გადცა. შემდეგ ჰკითხა თუ შეიძლებოდა მის ნაცვლად ჰაჯობაზე წასვლა აქაც დადებითი პასუხი მიიღო.
(უფრო დეტალურად იხ: საჰიჰი მუსლიმი, ნომ: 1149)

მიცვალებულისთვის ყურანის კითხვა:

შუამავალი ბრძანებს:
“იასინის სურა ყურანის გულია, იასინი ყურანი ქერიმი იკითხეთ”
(აჰმედ ბინ ჰანბელი მუსნედი 5/26-27, ებუ დავიდი 3121, იბნ მაჯე 1448, იბნ ჰიბბანი 2991, ჰაქიმი 1/565)

შუამავალი ბრძანებს:
“ადამიანი რომ გარდაიცვლება მალევე მიაბარეთ და მისი სულისთვის ფათიჰას სურა და ბაყარა სურის ბოლოႭ აიეთები იკითხეთ (აამენე რესუულუ)”
(ტაბერანი მუ’ჯემი’ულ ქებირ 7/340, ბაიჰაყი შუ’აბულ იმან 8/16)

შუამავალი ბრძანებს:
“გარდაცვალებულებისთვის “ლა ილაჰე იელლაჰ” იკითხეთ”
(მუსლიმი ჯენაიზ 1/2, თიემიზი ჯენაიზ 7, ებუ დავუდ ჯენაიზ 15/16, იბნ მაჯე ჯენაიზ 3, ჰანბელი ჯენაიზ 3/3)

მეზჰების მიხესვით სწავლულების შეხედულებები:

ჰანეფი მეზჰების მიხედვით დაშვებულია.
(იხილეთ იბნ აბიდინ რედდულ მუჰთარ 1/844)

ჰანბელი მეზჰების მიხედვითაც დაშვებულია.
(იხილეთ იბნ ყუდამე ელ მუღნიი 2/424, ყურტუბი თეზქირე 1/96)

მალიქი მეზჰების მიხედვითაც დაშვებულია.
(იხილეთ ყადი იადი შერჰ საჰიჰი მუსლიმი 11/125)

შაფი’ი მეზჰების მიხედვითაც დაშვებულია.
(იხილეთ ნევევი ელ მეჯმუღ 5/311 ასევე ნევევი ელ ეზქარ გვ.137 ასევე იბნ ჰაჯერ ბაღიეთულ მუსთერშიდდინ გვ.97)

იმქვეყნიური დახმარება (შეფაღეთი)

ყურანის შეფაღეთი:

შუამავალი ბრძანებს:
“მვირფასი ყურანი იკითხეთ რადგან უეჭველად ის (ყურანი) იმ ქვეყნად შეფაღეთს (შუამდგომლობას) გაგიწევთ”
(მუსლიმი მუსაფირუნ 252)

შუამავლის და შუამავლების შეფაღეთი

შუამავალი ბრძანებს:
“შუამავლებისაგან შეფაღეთი უეჭველად არსებობს”
(ბუჰარი რიყაყი 45, მუსლიმი იმანი 81, ებუ დავუდი ჯიჰადი 26)

შუამავალი ბრძანებს:
"ყველა შუამავალი მათ უმმეთს (მიმდევრებს) შეფაღეთს გაუწევს"
(ბუჰარი თეფსირი 18)

ევლიების და ალიმების შეფაღეთი:

შუამავალი ბრძანებს:
"ჩემს უმმეთებში არსებობს დიდი პიროვნებები თავის დიდ ჯემაღეთში (ჯგუფში), ასევე არსებობენ დიდი პიროვნებები ცალკეულ გრუპებშიც, რომლებიც მათ შეფაღეთს გაუკეთებს და ჯენნეთისაკენ (სამოთხისაკენ) წაიყვანს"
(თირმიზი ყიამეთი 11)

შეჰიდების შეფაღეთი:

შუამავალი ბრძანებს:
"უეჭველად შეჰიდს შეუძლია სამოცდაათ ადამიანზე შეფაღეთის გაკეთების უფლება"
(ებუ დავუდი ჯიჰადი 28)

უზენაესმა ალლაჰმა ჩვენ ამ ქვეყნად და იმ ქვეყნად დახმარების მიღება წილად გვარგუნოს.